ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01181352751**

თარიღი: **15.05.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი
ლევან კალმახელიძე
პირადი ნომერი: 20001004247
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი III, კვარტალი I, კორპუსი 8, ბინა 24

სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 20 თებერვლის AR1579042 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დასახლება გლდანი, I მიკრო/რაიონში, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.002.070), მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას.

გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის წინასაპროექტო კვლევის შემადგენლობა განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების (შემდგომში განაშენიანების ძირითადი დებულებები) 22-ე მუხლით და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების (შემდგომში განაშენიანების რეგულირების წესები) მე-8 მუხლის და მე-19 მუხლის თანახმად. აღნიშნულის შესაბამისად დაგიდგინდათ ხარვეზები. შესაბამისად, წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

1. წინასაპროექტო კვლევა - განაშენიანების ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით

1.1 ფიზიკური გარემოს კვლევა - განაშენიანების ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ – „ზ“, „ნ“ ქვეპუნქტები:

- საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტო სურათი არსებული მდგომარეობით;
- საპროექტო ტერიტორიის ზოგადგეოლოგიური და სეისმური მონაცემები (**ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა);**
- საპროექტო ტერიტორიის ზოგადკლიმატური (ბუნებრივი ნალექების, ქარის, მზის გამოსხივების) მონაცემები;
- საპროექტო ტერიტორიის არსებული ეკოლოგიური მონაცემები;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის მესაკუთრეთა მონაცემები;

· **საინჟინრო ინფრასტრუქტურა -** განაშენიანების ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „თ“ – „მ“ ქვეპუნქტები

- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელი;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელი;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელი;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელი;
  შენიშვნა: მონაცემები საინჟინრო ნაგებობების და კომუნალური ობიექტების შესახებ;
- საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების ქსელი;

· **განაშენიანების სტრუქტურისა და ფუნქციური დანიშნულების კვლევა -** განაშენიანების ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის მე-7 პუნქტი და განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლის 1^1 პუნქტი

- საკვლევ ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ფუნქციური დანიშნულების ანალიზი; შენობა-ნაგებობების და ღია სივრცეების ფუნქციური გამოყენებების იდენტიფიკაცია;
- საკვლევ ტერიტორიაზე არსებული შენობების სართულიანობისა და სიმაღლეების იდენტიფიკაცია;
- საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში განაშენიანების, ბინების და მოსახლეობის არსებული სიმჭიდროვე;

- მონაცემები საკვლევ ტერიტორიაზე განლაგებული ავტოფარეხებისა და ავტოსადგომების შესახებ;
- მონაცემები საკვლევ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების და საბავშვო ბაღების, ბაგა-ბაღების არსებობის შესახებ, საანგარიშო და არსებული დატვირთვები და დისტანცია საპროექტო არეალიდან;
- საკვლევი ტერიტორიის ლანდშაფტური ღირებულების კვლევა - ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტის ტიპების იდენტიფიკაცია;
- მონაცემები საკვლევ ტერიტორიაზე არსებული გამწვანებისა და კეთილმოწყობის ობიექტების შესახებ;
- მონაცემები საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული გეგმარებითი შეზღუდვების შესახებ;

1.2 დოკუმენტური კვლევა (განაშენიანების ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის, მე-4 პუნქტი)

დოკუმენტური კვლევა მოიცავს საპროექტო ტერიტორიაზე, მისი დაგეგმარებისათვის საჭირო, არსებული ქალაქთმმშენებლობითი დოკუმენტების სამართლებრივი აქტების, სამართლებრივი რეჟიმების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მონაცემები, დაკავშირებულ ანალიტიკურ და სამეცნიერო მასალები, მათ შორის:

- საკვლევი ტერიტორიის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება;
- საკვლევი ტერიტორიის ფუნქციური ზონირება (არსებული);
- გამოყენებული სტანდარტების და ლიტერატურის ჩამონათვალი;

არსებობის შემთხვევაში:
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ქალაქთმმშენებლობითი პროექტ(ებ)ის ანალიზი;
- მონაცემები საკვლევ ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების რეგულირების ხაზების (წითელი ხაზები) და განაშენიანების სავალდებულო ხაზების (ლურჯი ხაზები) შესახებ;

1.3. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება განაშენიანების ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, მათ შორის:

· **ტერიტორიის განვითარების საპროექტო წინადადება, განვითარების ხედვა, (მომზადდეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კვლევის და მათი ანალიზის საფუძველზე):**

- საპროექტო წინადადების აღწერა/დასაბუთება(ტექსტური ნაწილი);
- ტერიტორიის განვითარების კონცეფცია/ხედვა;
- სივრცით - გეგმარებითი გადაწყვეტების აღწერა და დასაბუთება (შენობათა განთავსების სქემა, საჭიროების შემთხვევაში გამიჯვნის სქემა);
- ტერიტორიის საპროექტო განაშენიანების, ბინების და მოსახლეობის მიახლოებითი სიმჭიდროვე;
- სატრანსპორტო სქემა (იხ. ქვემოთ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წერილი);
- გამწვანების სქემა (იხ. ქვემოთ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი);
- ვიზუალიზაცია (სამგანზომილებიანი (3D) მაკეტი საპროექტო მოცულობების ჩვენებით).

· **საპროექტო წინადადების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული ტერიტორიის შემოთავაზებული ინტენსივობით განვითარების მიზანშეწონილობას.**

2. წინასაპროექტო კვლევაში გასათვალისწინებელ გარემოსდაცვით და სატრანსპორტო კვლევებთან და ღონისძიებებთან დაკავშირებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მიხედვით, დამატებით იხილეთ შესაბამისი დანართები;

3. საინფორმაციო დაფა

- განაშენიანების ძირითადი დებულებების 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფა განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით;

4. ტექნიკური ხარვეზები

- სატიტულო გვერდ(ებ)ი, სადაც მოცემულია ინფორმაცია: დამკვეთის შესახებ; შემსრულებელის შესახებ; დაინტერესებული სახელმწიფო უწყებ(ებ)ის ან/და მუნიციპალური ორგანოების შესახებ; ჩართული მხარეების შესახებ. გრგ–ს არეალის საზღვრების საპროექტო წინადადება;
- გრაფიკული ნაწილის მასშტაბების დიაპაზონი შეადგენს **1:500-1:2000.**
- წინასაპროექტო კვლევაში წარმოდგენილი ყველა თანდართული მასალა უნდა იყოს დამოწმებული შესაბამისი ექსპერტის მიერ და გააჩნდეს თარიღი და საჭიროების შემთხვევაში ბეჭედი;
- მონაცემები და სქემები საინჟინრო ინფრასტრუქტურის შესახებ წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყებებიდან (თანდართული ოფიციალური წერილით - მხოლოდ საპროექტო ტერიტორიისთვის), სადაც დატანილი იქნება მათი ტრასა შესაბამისი პარამეტრების ცხრილით და განვითარების პოტენციალით.

5. ზოგადი მითითებები:

- **კვლევის არეალი განისაზღვროს საპროექტო ტერიტორიიდან 300 მეტრის რადიუსში.**
- წინასაპროექტო კვლევის ტექსტური და გრაფიკული მასალა უნდა აისახოს წარმოსადგენ დოკუმენტში, სადაც თავმოყრილი იქნება ჩატარებული წინასაპროექტო კვლევის შედეგები (სასურველია მეთოდოლოგიის მითითებით), ხოლო ძირითადი აღმოჩენები წარმოადგენს საპროექტო წინადადების საფუძველს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართები 5 ფურცელი:

· *ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი 18-01181131808 (23.04.2018);*

· *ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წერილი 16-01181149 (24.04.2018).*

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01181149**

თარიღი: **24.04.2018**

ადრესატი:
რუსუდან მირზიკაშვილი
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქალბატონო რუსუდან,

თქვენი მ/წ 23 თებერვლის წერილის (წერილი №67-0118082369) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, დასახლება გლდანი, მიკრორაიონი I, ახმეტელის მეტროს, მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას (AR1579042 20.02.2018), გაცნობებთ შემდეგს:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის 1^2 პუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის წინასაპროექტო კვლევა უნდა მოიცავდეს „...საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემას საკვლევი (საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიაზე) ტერიტორიის სატრანსპორტო/ საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის ნაკადების რაოდენობის მიმართულებების მითითებით) და საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასებას არსებულ საკვლევ საგზაო ინფრასტრუქტურაზე.“ გარდა ამისა, ამავე მუხლის 1^1 პუნქტის მიხედვით „დაგეგმარებითი ამოცანებისათვის ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი მონაცემები წინასაპროექტო კვლევისადმი და ყველა ცალკეულ შემთხვევაში კვლევის არეალი, რომელიც შესაძლოა აღემატებოდეს საპროექტო არეალს.“.

წარმოდგენილი პროექტის ფუნქციის (საცხოვრებელი და საოფისე) და მოცულობის გათვალისწინებით, დაგეგმილი განაშენიანება იქნება მნიშვნელოვანი რაოდენობის სატრანსპორტო ნაკადების გამომწვევი, განსაკუთრებით პიკის საათში. შესაბამისად, ტრანსპორტზე ზეგავლენის შესაფასებლად მიზანშეწონილია სატრანსპორტო კვლევის მომზადება. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ორი ძირითადი ქუჩის (მ. ნოზაძისა და ი. ვეკუას ქუჩა) შეერთების სიახლოვეს, ნოზაძის ქუჩაზე, რომელიც ვეკუას ქუჩის გავლით გადადის შეშელიძის ქუჩაზე (ქალაქის ცენტრთან დამაკავშირებელი ძირითადი ქუჩა) და უკავშირდება ქალაქის სხვა უბნებსა და ცენტრს. წარმოდგენილი პროექტის საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შესაფასებლად, საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და ძირითად კვანძებს, რომლებიც უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით, მიზიდვის ძირითად ცენტრებისაკენ.

გარდა ამისა, წარმოსადგენია საპროექტო ტერიტორიის და საკვლევი არეალის მოძრაობის ორგანიზების სქემა, მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სატრანსპორტო კვლევის კომპონენტები და საკვლევი არეალი მოცემულია დანართში.

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

მამუკა მუმლაძე

დანართი 1

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	**საკვლევი ტერიტორიის სატრანსპორტო შესწავლა**		ზეგავლენის შესაფასებელად საჭიროა არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა საკვლევი არეალის ფარგლებში
1.1.	საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევა და სქემა	*ქუჩები: მ. ნოზაძის, გოჭორიშვილის, ვეკუას, ხიზანიშვილი და შეშელიძე, მოსულიშვილის, ვასაძე, ქერჩის, გობრონიძე (შენგელიამდე)* *კვანძები:* *ქუჩა ნოზაძე-ვეკუა-გობრონიძის, ვეკუა - შეშელიძის, გოჭორიშვილი-ხიზანიშვილი, გოჭორიშვილი-ნოზაძე, ხიზანიშვილის პირველი 3 კავშირი მ/ს ახმეტელიდან; ხიზანიშვილი-ვასაძე, ხიზანიშვილი-მოსულიშვილი, რომპეტროლთან, შეშელიძე-შენგელია, შეშელიძის კვანძ ქერჩის გზაგამტარამდე;*	საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ნოზაძის ქუჩაზე, ქალაქის განაშენიანებული ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. საპროექტო ტერიტორიის კავშირი ქალაქის ცენტრთან შესაძლებელია დასავლეთის მიმართულებით. შესაბამისად, დაგეგმილი განაშენიანების საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შესაფასებლად საკვლევი არეალი მოიცავს დასავლეთით მდებარე ძირითად გზებსა და ამ გზების ძირითად კვანძებს.
1.2.	ქვეითთა მოძრაობის კვლევა და საქვეითე მისაწვდომობის რუკა	*საქვეითე და საზ. ტრანსპორტის*	საქვეითე ინფრასქტრუქტურის შესაწვლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე

დანართი 1

		მისაწვდომობის კვლევის არეალი მოიცავს საპროექტო ტერიტორიის უშუალოდ მიმდებარე ქუჩებს, ახმეტელის მეტროს გათვალისწინებით	მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასაგენად. ასევე, მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა. ტრანსპორტზე მისაწვდომობის კვლევა საჭიროა საზ. ტრანსპორტზე ზემოქმედების განსასაზღვრად და საზ. ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების დასაგეგმად.
1.3.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის კვლევა და რუკა		
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	საპროექტო ტერიტორიის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი ფუნქციების მიხედვით		ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად.
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში მაცხოვრებელთა და ვიზიტორების (საოფისე ფუნქციის თანამშრომელთა სავარაუდო რაოდენობა)		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.
3.	**საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (საპროგნოზო) მგზავრობები**		
3.1.	საპროექტო ტერიტორიაზე გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა		
3.2	მგზავრობების მოდალური განაწილება		მოდალური განაწილება - გადაადგილების სხვადასხვა საშუალებების წილი მგზავრობების საერთო რაოდენობაში - მანქანა, საზ. ტრანსპორტი, ქვეითი, ტაქსი, ველოსიპედი. ამ მონაცემის განსაზღვრა საჭიროა, იმის დასადგენად, რა ზემოქმედება ექნება დაგეგმილ პროექტს სამანქანო ნაკადებზე; ასევე საზ. ტრანსპორტის მიწოდების დასაგეგმად და საქვეითე ინფრასქტრუქტურის მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმისათვის რომ დიდი მასშტაბის განაშენიანებას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო შედეგები, საჭიროა

			ღონისძიებების დაგეგმვა, მოდალურ განაწილებაში სამანქანო გადაადგილების წილის შემცირების მიზნით.
3.3.	მგზავრობების სივრცითი განაწილება		ამ მონაცემით განისაზღვრება, რომელ გზებზე და კვანძებზე იქნება ზეგავლენა; საზ. ტრანსპორტის რომელ მიამრთულებაზე/ხაზებზე იქნება მომსახურების გაუმჯობესება საჭირო; სად იქნება საჭირო საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
4	**ახალი გენერირებული მგზავრობების ზეგავლენის შეფასება**		
	• გზათა ქსელზე (მათ შორის ძირითად კვანძებზე); • საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; • საქვეითე ინფრასქტრუქტურაზე (ქვეითთა გადასასვლელების გათვალისწინებით)		კვლევის წინა კომპონენტებიდან გამომდინარე საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების ზეგავლენის შეფასება ტრანსპორტზე და ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებზე.
5	**რეკომენდაციები**		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების, თანამშრომლებისა და ვიზიტორების ტრანსპორტით უზურუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
6	**გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები**		კვლევის ტექსტრურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევის და ანილიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.

თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://tbilisi.gov.ge/page/3218

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01181131808**

თარიღი: **23.04.2018**

ადრესატი:
რუსუდან მირზიკაშვილი
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქალბატონო რუსუდან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 23 მარტის №67-0118082362 სამსახურებრივი ბარათი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დასახლება გლდანი, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს, მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს და გაცნობებთ შემდეგს:

- ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების (შემდგომში – განაშენიანების რეგულირების წესები) მე-8 მუხლის 1^2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს დაგეგმილი გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციას და ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაცია). ამასთანავე, შესაძლებელია გადასარგავი და საკომპენსაციოდ დასარგავი ხეები გათვალისწინებულ იქნეს გამწვანების ზოგად მონაცემებში, რომლის დეტალური პროექტიც უნდა დამუშავდეს გრგ-ს დამტკიცების ეტაპზე.
- ამასთანავე, რადგან ტერიტორია გაუნაშენიანებელია, მასზე გავრცელდება განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც გაუნაშენიანებელი ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენების შემთხვევაში განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 20%-ის მწვანე ნარგავების გასაშენებელ სივრცედ გამოყენება.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი